



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო უკომუნიკაციო კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

48

ქართველი მებრძოლები სირიასა და ერაყში
და კალისმიერი ექსტრემიზმისა და
რეკრუტირების ფაქტორები

ბენეტ კლიფორდი

ექსპერტის აზრი



2015



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ბენეტ კლიფორდი

**ქართველი მებრძოლები სირიასა და ერაყში
და ძალისმიერი ექსტრემიზმისა და
რეკრუტირების ფაქტორები**

48

2015



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-8376-1

შესავალი *

ბოლო თვეებში პოპულარული მედიანყაროები ფართოდ აშუქებდნენ საქართველოდან უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირების პრობლემას, განსაკუთრებით, სირიასა და ერაყში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების საკითხს. მედიაში გამოვლენილი ეს ტენდენცია მისდევს საქართველოს მოქალაქეების ჯიჰადისტთა სხვადასხვა ჯგუფებში ლიდერებად დანიშნაურების ფაქტებს, რისი მაგალითიც თარხან ბათირაშვილის (მისი საბრძოლო სახელია აბუ ომარ ალ-შიშანი) ისტორიაა. ბათირაშვილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი წევრია, რომელმაც ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმწიფოს მიერ სირიაში მონყობილ რამდენიმე სამხედრო კამპანიაში სახელი გაითქვა, როგორც წარმატებულმა სამხედრო მეთაურმა.¹ სამწუხაროდ, ბათირაშვილის შესახებ რეპორტაჟებმა ხელი შეუწყო გაჩენილიყო მცდარი განზოგადება უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირების პროცესის შესახებ საქართველოში. სენსაციური ელფერის რეპორტაჟებში მედიამ ვერ შეძლო იმ მიზეზების შეფასება, რომლებიც საფუძვლად ედო უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირებას საქართველოს ზოგიერთ ძალზე მრავალფეროვან მუსლიმურ თემში და რამდენიმე პრეცედენტზე ფოკუსირებით განზოგადებული დასკვნები გამოიტანა. მართალია, საქართველოს პანკისის ხეობა ხშირად პრეცედენტულ შემთხვევად სახელდება, მაგრამ უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირება საქართველოს სხვა, მუსლიმური უმრავლესობით დასახლებულ ადგილებშიც ხდება, მაგალითად, აჭარის სამხრეთ-დასავლეთ რაიონსა თუ აზერბაიჯანულ სოფლებში კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.² მიუხედავად იმისა, რომ მედიაც და საქართველოს მთავრობაც ამ საკითხს ერთ ყალიბში აქცევენ, თითოეულ ამ რეგიონში პანკისისგან საკმაოდ განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა, რაც რეკრუტირების უნიკალურ მიზეზობრივ ფაქტორებს ქმნის.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ შეგვეფასებინა საქართველოს მუსლიმებით დასახლებული მრავალფეროვანი რაიონებიდან უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირების ხელშემწყობი ფაქტორები. პირველ რიგში შეფასებულია საქართველოს მრავალნაირ მუსლიმ მოსახლეობაში დემოგრაფიული და პოლიტიკური დინამიკა და, ასევე, სირიასა და ერაყში ქართველი მუსლიმი მებრძოლების

* სტატია დაწერილია 2015 წლის ივლისში.

რელიგიური ქვემომდინარეობები. გარდა ამისა, ნაშრომში შედარებულია რამდენიმე ფაქტორი (ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური), რომლებიც სტიმულს აძლევს ქართველ მუსლიმებს იბრძოლონ უცხოეთში. მაშინ, როდესაც ბევრი მკვლევრის შეფასება თითოეულ ფაქტორს სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად განიხილავს, ჩვენ შევეცადეთ გავერკვეთ, როგორ იქმნება ამ სხვადასხვა მიზეზის ურთიერთქმედებით ძალზე დამაჯერებელი ნარატივი, რომელიც საქართველოს მუსლიმ მოსახლეობაში ძალადობრივ ექსტრემიზმს კვებავს. საბოლოოდ, მხოლოდ იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს თითოეული ფაქტორი, ხელს შეუწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებას საქართველოში.

არსებული მონაცემები: საქართველოს მუსლიმი მოსახლეობა და უცხოელი მეზობლების საკითხი

საქართველოს 2002 წლის აღწერის თანახმად, დაახლოებით 500 000 ადამიანი (საქართველოს 4.3-მილიონიანი მოსახლეობის 9.9%) თავს „მუსლიმად“ მიიჩნევს.³ თუმცა მუსლიმი რელიგიური ლიდერები და საქართველოს პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს შემცირებული მონაცემია; ზოგის ვარაუდით, საქართველოში 800,000 მუსლიმია.⁴ 2014 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები ჯერ არ არის რელიგიების მიხედვით დამუშავებული, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 14.7%-ით შემცირდა, მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობა ან არ შეცვლილა, ან გაიზარდა.⁵

საქართველოს მუსლიმები წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფით, ეროვნებით და რელიგიური ქვემომდინარეობით და ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობენ. ყველაზე მრავალრიცხოვანია საქართველოს აზერბაიჯანული თემი, რომელიც 300 000 ადამიანს ითვლის და ძირითადად საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში ცხოვრობს, უპირატესად ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.⁶ აზერბაიჯანში მცხოვრები აზერბაიჯანელების მსგავსად, საქართველოს აზერბაიჯანელების უმეტესობა შიიტია, ხოლო სუნიტები (ჰანაფი მაზჰაბი) და სალაფიტები უმცირესობებს წარმოადგენენ.⁷ სიდიდით მეორე ჯგუფი ქართველი მუსლიმებისა (დაახლოებით 100,000 ადამიანი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავ-

ლეთ რაიონებში ცხოვრობს და სუნიზმის მიმდევარია.⁸ დაბოლოს, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიან რეგიონში უფრო მცირერიცხოვანი (100,000-ზე ნაკლები) მუსლიმური ჯგუფები ცხოვრობენ, ესენი არიან დაღესტნელი ავარიელები სოფელ ჩანტლისყურში და ქისტები პანკისის ხეობაში.⁹ ქისტები, რომლებიც მე-19 საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომს გამოქცეული და საქართველოში დასახლებული ჩეჩნების შთამომავლები არიან, ისტორიულად ერთადერთი ჯგუფია ქართველ მუსლიმებს შორის, რომელიც *თასაგუფის* – ისლამური მისტიციზმისა და ჩეჩნური პრეისლამური კანონებისა და ტრადიციების ადგილობრივი ნარევის – მიმდევარია.¹⁰

ხანგრძლივი საბჭოთა მმართველობის გამო ისლამური რწმენა-განწყობილებები მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იყო მანამ, სანამ 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, საბჭოთა სისტემა არ კრძალავდა ისლამის ფარულ მიმდევრობას, მაგრამ მკაცრად ზღუდავდა მის საჯარო გამოხატულებას, ინსტიტუციურ განვითარებასა და ისლამურ განათლებას.¹¹ ისლამი განიხილებოდა „ეროვნულ“ იდენტობად რელიგიური იდენტობის საპირისპიროდ და საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ საქართველოში მცხოვრებმა ბევრმა მუსლიმურმა ჯგუფმა გამოკვეთილი რელიგიური იდენტობა შეიძინა¹². ამ ფენომენს ხშირად შეცდომით არქემევენენ „გამოღვიძებასა“ თუ „აღორძინებას“; რეალურად კი, მუსლიმური ჯგუფები საქართველოში თავიანთ ისლამურ იდენტობას მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართველმა მუსლიმებმა დაიწყეს დამოუკიდებელი მუსლიმური იდენტობის გამიჯვნა თავიანთი ეროვნული კუთვნილებისგან.¹³ თუ გავითვალისწინებთ ეროვნული/რელიგიური იდენტობების თანაგანვითარებას ქრისტიანულ საქართველოში, სადაც ქართული ეროვნება ჩვეულებრივ ქართულ მართლმადიდებლობასთან არის გაიგივებული, მუსლიმები საქართველოში ქართული ეროვნული იდენტობის მიღმა დარჩნენ. შედეგად, მოძრაობები, რომლებიც ეროვნული იდენტობის პანისლამურ ჩარჩოში მოქცევისკენ მოუწოდებდნენ, პოპულარული გახდა საქართველოს მუსლიმებსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.¹⁴

საქართველოს ზოგ ქრელ მუსლიმურ რეგიონში დაწინაურებული „კონსერვატიული“ მოძრაობები ძირითადად სალაფიზმის მიმდევრები არიან.¹⁵ სიტყვა-სიტყვით „სალაფი“ არაბულად

„წინაპარს“ ნიშნავს, ხოლო სალაფიზმი წარმოადგენს წინასწარმეტყველი მუჰამედისა და მისი პირველი მიმდევრების (ალ-სალაფ ალ-სალიჰ) ტრადიციებზე დაფუძნებულ ისლამის პრაქტიკასა და რწმენას.¹⁶ ის უარყოფს ყურანისა და ჰადისების მეცნიერულ ინტერპრეტაციებს, რომლებიც ხალიფატის პერიოდის შემდეგ აღმოცენდა და მხარს უჭერს შარიათის კანონის მკაცრ შესრულებას ცხოვრებისა და მმართველობის ყველა სფეროში. სალაფიზმი მისი ვარიანტების უმეტესობაში პოლიტიკურად აქტიური ისლამური მოძრაობაა, რომელიც ესწრაფვის სხვადასხვა მუსლიმურ ჯგუფებს შორის განსხვავებების (ეროვნება, ეთნოსი, ენა) აღმოფხვრას.¹⁷ სალაფიზმის მიმდევართა უმრავლესობა ძირითადად არ არის ძალადობრივი ჯიჰადის მომხრე, თუმცა ჯიჰადისტების უმეტესობა (მათ შორის ალ-ყაიდა და ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო) სალაფიზმის იურისპრუდენციის მხოლოდ ექსტრემისტულ ინტერპრეტაციას იყენებს.¹⁸ საქართველოს მუსლიმ თემებში ისლამის კონსერვატიული მოძრაობების მიმდევრებს ადგილობრივები ჩვეულებრივ „ვაჰაბიტებს“ უწოდებენ; ეს არის ტერმინი, რომელიც არ ასახავს არც მათი რწმენის სისტემას და არც მათი რელიგიური პრაქტიკის მეთოდოლოგიას (და'ვათ).¹⁹

საქართველოს ბევრ მუსლიმურ თემში „ტრადიციონალისტებსა“ და „კონსერვატორებს“ შორის სოციალური და პოლიტიკური კაპიტალისთვის აქტიური დავა მიმდინარეობს. სალაფიზმს შიიტი მუსლიმებისა (რომლებსაც რაფიდას ეძახიან, ანუ რელიგიისგან განდგომილებს) და სუფიზმის მიმდევრების (რომლებსაც მუშრიქად, ანუ პოლითეისტად მოიხსენიებენ) მტრული კრიტიკა ახასიათებს, რაც ხშირად დაძაბულობას ქმნის თემებში, სადაც შიიტი და სუფი მუსლიმები ფორმალურ მუსლიმურ ინსტიტუტებს აკონტროლებენ.²⁰ თუმცა, საქართველოშიც კი, სუნიტი თემები და სალაფიტი მუსლიმები უშუალო კონკურენციას უწევენ ტრადიციულ ჰანაფი მაზჰაბის, რომელსაც ჩვეულებრივ შარიათის ბევრად უფრო თავისუფალი ინტერპრეტაცია და სამეცნიერო ინოვაცია აქვს, ვიდრე სალაფიტის აზროვნებაა. საქართველოს მუსლიმი თემების ის ჯგუფები, რომლებიც ტრადიციულ სისტემებზე მეტად კონსერვატიული მოძრაობებისკენ იხრებიან, შედგება ახალგაზრდებისგან, ვისაც ფორმალური ისლამური განათლების მიღების შესაძლებლობები არა აქვს, ვინაიდან სალაფიზმი საქართველოს მუსლიმური სისტემის, მისი ლიდერებისა და მეცნიერების დამაჯერებელ კრიტიკას სთავაზობს.²¹ გარდა ამისა, სალაფიზმი ასევე სთავაზობს

პოლიტიკურ მეთოდოლოგიას, თუ როგორ შეიძლება მკაცრად ქრისტიანულ გარემოში იცხოვრო მუსლიმმა.²²

სალაფიზმის იდეოლოგიის მიმდევრობა არ ნიშნავს, რომ ინდივიდი აუცილებლად ძალისმიერ ჯიჰადს აირჩევს ან უცხო ქვეყანაში მუსლიმების მხარეს იბრძოლებს, თუმცა ეს შეიძლება კრიტიკულად დამოუკიდებელი ცვლადი იყოს, განსაკუთრებით, დაუცველ მოსახლეობას შორის. ჯერჯერობით საქართველოს მთელი მუსლიმური მოსახლეობიდან ქართველი სალაფიტები, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სირიასა და ერაყში იბრძვიან – სულ, დაახლოებით, 50-100 მებრძოლი.²³ მაშინ, როდესაც პანკისელმა ქისტებმა მედიის უდიდესი ყურადღება მიიპყრეს, ქვემო ქართლის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლებიდან და კახეთის ყარაჯალიდან რამდენიმე მებრძოლი (და მათი საცოლევები), გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სირიის კონფლიქტში ჩაერთო.²⁴ ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმწიფოს მხარეს ასევე იბრძვის რამდენიმე ქართველი მუსლიმი აჭარიდან.²⁵ რამდენიმე ქიტი მებრძოლი პანკისის ხეობიდან კი არა მარტო კონფლიქტში ჩაერთო, არამედ ახლა უკვე წამყვან პოზიციებს იკავებს ჯიჰადისტურ ორგანიზაციებში.

უცხოელი მებრძოლების რეკრუტირების ფაქტორები

ქართველი მუსლიმებისთვის სირიასა თუ ერაყში ბრძოლის გადანყვეტილება პირადი გადანყვეტილებაა და არც ერთი ცალკე აღებული ფაქტორი არ არის ამ გადანყვეტილების განმსაზღვრელი. სხვა მიგრაციული პროცესების მსგავსად, უცხოელი მებრძოლების რეკრუტირების დინამიკა ორ პროცესს მოითხოვს: „ბიძგის“ ფაქტორს, რომელიც საქართველოდან გასვლის მოტივატორია და „მიზიდვის“ ფაქტორს, რომელიც ინდივიდებს სხვაგან წასვლის ნაცვლად სირიასა და ერაყში საბრძოლველად იზიდავს.²⁶ აღსანიშნავია, რომ ასეთი გაყოფაც კი საკითხის გამარტივებაა – რეკრუტირების პროცესი ჩვეულებრივ ეტაპობრივია და მოტივირებულია შუალედური ცვლადების თანმიმდევრობით, რომელიც „ბიძგის“ და „მიზიდვის“ ფაქტორებზე ზემოქმედებს.

ყველაზე ხშირად დასახელებული „ბიძგის“ ფაქტორი ეკონომიკური ხასიათისაა. სხვა ქართული სოფლების მსგავსად, მუსლიმებით დასახლებულ ადგილებშიც ეკონომიკური სიდუხჭირვა ინდუსტრიალიზაციისა და გლობალიზაციის შედეგად. საბჭოთა

პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფდა საყოველთაო დასაქმებას სოფლის მეურნეობასა თუ წარმოებაში, ახლა საქართველოს სოფლის მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების ნაკლებობაა.²⁷ ბევრი ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ცუდი ეკონომიკური პირობები საუკეთესო ნიადაგს ქმნის ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციისთვის.²⁸ თუმცა, საქართველოს მუსლიმების შემთხვევაში, უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირების აუცილებელ პირობად ეკონომიკური სიდუხჭირის განხილვას სერიოზული საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. ჯერ ერთი, საქართველოს მუსლიმებით დასახლებული სოფლების უმეტესობა სამუშაოდ ქრისტიანული სოფლების მსგავსია (ან უკეთეს მდგომარეობაშიც კი არის) ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის, დასაქმებისა და სამუშაო ადგილების ზრდის თვალსაზრისით.²⁹ ეკონომიკური სიძნელები, რომლებიც ჯიჰადისტი უცხოელი მებრძოლების „ბიძგის“ ფაქტორად არის დასახლებული, პრობლემას არა მხოლოდ მუსლიმებით დასახლებულ რაიონებში წარმოადგენს, არამედ მთელ საქართველოში.³⁰ მეორე, ეკონომიკური ანალიზით შეიძლება მხოლოდ აიხსნას ის, თუ რატომ მიგრირებენ ქართველი მუსლიმები სოფლებიდან ქალაქებში ან ქვეყნიდან. ის არ პასუხობს კონკრეტულ კითხვებს, თუ რატომ ირჩევს ზოგი სირიასა თუ ერაყში ბრძოლას თავის საბოლოო მიზნად. მართლაც, ბევრი მუსლიმი, რომელიც ეკონომიკური ფაქტორების გამო საქართველოდან მიდის, სახლდება და მუშაობს თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა თუ ევროპაში.³¹ დაბოლოს, ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ბუნებრივი გზა – მეტი სამუშაო ადგილის შექმნა – არ აგვარებს უცხოეთში მებრძოლებად რეკრუტირების პრობლემას. ეკონომიკური პროდუქტიულობის შეზღუდული პოტენციალის გამო საქართველოს ბევრ რეგიონში დასაქმების მხოლოდ ისეთი შესაძლებლობებია, რომლებიც ვერ შეედრება უცხოეთში მუშაობისა და ბრძოლის უპირატესობებს.³²

მეორე მხრივ, იდეოლოგია და სალაფიზმის გავრცელება ხშირად „მიზიდვის“ ყველაზე მძლავრ ფაქტორად განიხილება, რომელიც ქართველ მუსლიმებს სირიისა თუ ერაყისკენ იზიდავს. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ახალი კონფლიქტი იწყება, რაც მთავარი წყაროა უცხოელი სალაფიტი-ჯიჰადისტი მებრძოლებისთვის. ეს ფენომენი ყველაზე გამორჩეული საბჭოთა კავშირ-ავღანეთის კონფლიქტის დროს იყო 1980-იან წლებში, ბოსნიისა და ჩეჩნეთის სამოქალაქო ომებში – 1990-იანებში, იემენისა და სომალის ომებში

– 21-ე საუკუნის დასაწყისში და ახლა ეს ადგილი სირიამ და ერაყ-მა დაიკავეს, როგორც „ხუთვარსკვლავიანმა“ ჯიჰადმა უცხოელი მეზობლებისთვის.³³ ინტერნეტისა და სოციალური მედიის საშუალებით უცხოეთიდან რეკრუტირების შესახებ მასალის უპრეცედენტო ხელმისაწვდომობის შედეგად სულ უფრო მეტი ქართველი სალაფიტი-ჯიჰადისტი ირჩევს სირიისა და ერაყის სამოქალაქო ომებს, როგორც პოტენციური საბრძოლო დანიშნულების პუნქტს. თუმცა, მხოლოდ სალაფიზმის იდეოლოგიის დადანაშაულება ნიშნავს რეკრუტირებასთან დაკავშირებული მასალის შინაარსის აღრევას თავად მასტიმულირებელ ფაქტორთან. ბევრი ქართველი სალაფიტი, რომელიც თანაუგრძნობს ისეთი ჯგუფების მეთოდებსა და მიზნებს, როგორიც ისლამური სახელმწიფოა, არ უერთდება კონფლიქტს.³⁴ ეს გზავნილები თავისთავად, სხვა მთავარი პირობების გარეშე, არ მოქმედებენ ინდივიდზე, რომ ძალისმიერ ჯიჰადში მონაწილეობა ერთადერთ შესაფერის გამოსავლად მიიჩნის. ამრიგად, შუალედურ ფაქტორებთან მიბრუნება აუცილებელია, რომ უცხოეთში მეზობლებად რეკრუტირების კონტექსტი გავიგოთ.

ყოველი ცალკეული მუსლიმური თემისა და საქართველოს საზოგადოების ურთიერთობა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს გავლენას ახდენს ძალადობრივი ექსტრემისტების რეკრუტირების ბუნებასა და ჩვეულებრივ სოციალურ-პოლიტიკურ მასტიმულირებელ ფაქტორებზე. პანკისელი ქისტები იზოლირებულ მთიან ხეობაში ცხოვრობენ, რომელიც უახლოესი ქრისტიანული სოფლიდან საკმაოდ მოშორებულია. ქართულ საზოგადოებასთან მათი ურთიერთობა, სამწუხაროდ, ძირითადად ცენტრალური მთავრობის მოსაბეზრებელი საპოლიციო და კონტრტერორისტული ღონისძიებების მეშვეობით ხდება, რომელიც პანკისში, ჩვეულებრივ, დიდ ქვედანაყოფებს აგზავნის პოტენციური ექსტრემისტების მოსაძებნად. პანკისის, როგორც „ექსტრემისტების თავშესაფრის“ ან „ბანდიტებით სავსე ადგილის“ შესახებ ზოგადი წარმოდგენა კიდევ უფრო დიდ დაძაბულობას ქმნის ადგილობრივ მოსახლეობასა და საქართველოს მთავრობას შორის, ხოლო სენსაციური მედია რეპორტაჟები ერაყსა და სირიაში ქისტი სამხედრო მეთაურების შესახებ მხოლოდ იქ წასვლის სურვილს უღვიძებს გულაცრუებულ ახალგაზრდებს.³⁵ საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს პანკისის მოსახლეობასთან სხვაგვარ ურთიერთობას; ისლამური განათლების, სოციალური პროგრამებისა და პოლიტიკური ინტეგრაციის შესაძლებლობები არ არსებობს.³⁶ მთლიანობაში,

სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების არარსებობა უბიძგებს იქაურ მაცხოვრებლებს თბილისში ან საზღვარგარეთ წავიდნენ, ხოლო უსაფრთხოების ზომების მიღება ამ ადგილას ხლეჩს პანკისსა და ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას და ეს ორივე ასპექტი ნოციერ ნიადაგს ქმნის სალაფიტურ-ჯიჰადისტური იდეოლოგიისთვის.³⁷ საზღვარგარეთ ბრძოლის ხიბლი საქართველოში ნებისმიერ შესაძლებლობას გადაწონის, განსაკუთრებით, პანკისის იმედგაცრუებულ მოსახლეობას შორის.

რამდენადაც აჭარის ქართველი მუსლიმები საქართველოს ავტონომიურ რეგიონში ცხოვრობენ და სოფლებშიც და ქალაქებშიც ხშირად ქართველ ქრისტიანებთან საზიარო სივრცე აქვთ, მათი ურთიერთობა საქართველოს დანარჩენ საზოგადოებასთან ადგილობრივ დონეზე მყლავნდება.³⁸ მათ ცენტრალური მთავრობა ისეთ საგანგებო ყურადღებას არ აქცევს, როგორც ქისტებს. თუმცა აჭარაში დიდი დაძაბულობაა ქართველ მუსლიმებსა და ქართველ მართლმადიდებლებს შორის და არსებობს რელიგიური თავისუფლების დარღვევის ბევრი შემთხვევა, ქართული მართლმადიდებელი ინსტიტუტების მიერ ადგილობრივი მუსლიმების წინააღმდეგ ჩადენილი. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაქრისტიანება სწრაფი ტემპით მოხდა: აჭარის მუსლიმი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქრისტიანობა მიიღო,³⁹ ამასთან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ადგილობრივი ორგანიზაციები ზენოლას ახდენენ სხვა მუსლიმებზე, რომ ქრისტიანობა მიიღონ, რასაც ადგილობრივი მუსლიმი ინსტიტუტების განვითარების გაპროტესტების, მუსლიმთა წმინდა ადგილების შეზღავნისა და ზოგ შემთხვევაში, სიძულვილით გამონეული დანაშაულის გზით აკეთებენ.⁴⁰ ეს ზენოლა ყველაზე ნყნარ მუსლიმ მოსახლეობას შორისაც კი ექსტრემისტული იდეოლოგიისთვის აჩენს სივრცეს. მართალია, მხოლოდ რამდენიმე აჭარელმა მუსლიმმა არჩია უცხოეთში ბრძოლა, მაგრამ აჭარაში არსებულმა ამყამინდელმა დაძაბულობამ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის შესაძლოა ადვილად უბიძგოს სხვებსაც ამისაკენ.⁴¹

საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას ორი სოციალურ-პოლიტიკური უპირატესობა აქვს საქართველოს სხვა მუსლიმებთან შედარებით – რაოდენობრივი სიმრავლე და კარგად ჩამოყალიბებული მუსლიმური ინსტიტუტები.⁴² ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ეკონომიკური პრობლემების და უმუშევრობის უფრო

მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად (განსაკუთრებით, მარნეულსა და ბოლნისში), უცხოელ მებრძოლებად რეკრუტირებას ისე არ მოუკიდია ფეხი საქართველოს აზერბაიჯანელებს შორის, როგორც ეს პანკისსა თუ აჭარაში მოხდა.⁴³ მაშინ, როდესაც საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელები სულ უფრო სალაფიზმისკენ იხრებიან ან სამუშაოს საშოვნელად ქვეყნიდან გადიან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ ცოტა ქართველი აზერბაიჯანელი (მათ მრავალრიცხოვან მოსახლეობასთან შეფარდებით) იბრძვის სირიასა და ერაყში. მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემები კვლავ არსებობს – საქართველოში მცხოვრებმა ბევრმა აზერბაიჯანელმა ქართული არ იცის, ცხოვრობს დასაქმების დაბალი პოტენციალის მქონე ადგილებში და დაძაბული ურთიერთობები აქვს ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობასთან.⁴⁴ თუმცა, საქართველოს აზერბაიჯანელების შემთხვევა იმასაც გვიჩვენებს, რომ მხოლოდ „ბიძგის“ და „მიზიდვის“ ფაქტორების არსებობა მუსლიმ მოსახლეობაში აუცილებლად არ ნიშნავს, რომ უცხოელი მებრძოლების რეკრუტირება გავრცელებულ მოვლენად იქცევა. ადგილობრივი შიიტური და სუნიტური მუსლიმური ინსტიტუტების არსებობამ აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში, ასევე, კვიეტისტურმა ზეგავლენამ უცხოეთიდან (აზერბაიჯანი და ირანი) გარკვეულწილად ჩააცხრო სალაფიტურ-ჯიჰადისტური ტალღა.⁴⁵ მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ ნაბიჯები უნდა გადადგას აზერბაიჯანული თემის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში და არ მიმართოს უსაფრთხოების დაცვის ზომებს სადმე სხვა რაიონში აღმოცენებული ძალისმიერი ექსტრემიზმის საპასუხოდ.

დასკვნა

სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საქართველოს მუსლიმურ თემებში განსხვავდება ერთმანეთისგან რეგიონების, ეთნიკურობის, გეოგრაფიული ფაქტორების და პოლიტიკის მიხედვით. მართალია, ძალისმიერი ექსტრემიზმის ხელშემწყობი ტრადიციული ფაქტორები ყველა თემში იჩენს თავს, შუალედური ფაქტორები განსაზღვრავს ძირითადად თემზე იდეოლოგიურ ზემოქმედებასაც და იმასაც, თუ რამდენი მოსახლე აირჩევს ბრძოლას სირიასა და ერაყში. იმ თემებში, სადაც ცენტრალურ მთავრობასთან თუ ადგილობრივ ქრისტიანებთან დაძაბულობის ხარისხი უფრო მაღალია,

უცხოელ მებრძოლებად რეკრუტირება, სავარაუდოდ, გაძლიერდება. ამ ფაქტორების გაცნობიერება აუცილებელია იმ უნდობლობის ხარისხის შესამცირებლად, რომელიც საქართველოს მუსლიმ თემებსა და საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას შორის არსებობს და იმ ქართველი მოქალაქეების რიცხვის შესამცირებლად, რომლებიც სირიასა და ერაყში იბრძვიან. ამის გაკეთების დროს მთავრობამ და ადგილობრივმა ინსტიტუტებმა ფრთხილად უნდა იმოქმედონ, რათა თავიდან აიცილონ ისეთი ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენება ძალისმიერი ექსტრემიზმის წინააღმდეგ, რომელიც არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ განსხვავებებს საქართველოს მუსლიმ თემებს შორის და რომელმაც შეიძლება უკუჩვენებდეს გამოინვიოს.

შენიშვნები

1. J. Paraszczuk, "Umar Is Not Even A Real Chechen, Anyway" -- The Politics Of "Shishani" In IS And Syria. Radio Free Europe/Radio Liberty, 5 ნოემბერი, 2014. www.rferl.org/content/blog/26675969.html, ნანახია 7.22.2015.
2. V. Rukhadze, 'More of Georgia's Muslims Try to Join Islamic State'. Eurasia Daily Monitor, Vol. 12, No. 71 (2015), www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=43802&cHash=1d7874f8b6ff2e14ba9d0a71c16c2023#.VW-7bVc_zqM9, ნანახია 7.22.2015.
3. 2002 წლის აღწერა არასაიმედოა საქართველოში არასტაბილურობის და გამოკითხვის სათანადო მეთოდებისა და ტექნიკის არარსებობის გამო. მოსახლეობის შესახებ ყველა მონაცემი, განსაკუთრებით უმცირესობების ამსახველი, შეიძლება შეიცვალოს. S. Mkrtchyan, & K. Khutsishvili, 'Georgia' in J. Nielsen, S. Akgonul, A. Alibasic, & E. Raciuc (Eds.), Yearbook of Muslims in Europe Vol. 6 (Leiden: Koninklijke Brill, 2014) გვ. 244-245.
4. იქვე, გვ. 245-246.
5. C. Prasad, 'Georgia's Muslim Community: a Self-Fulfilling Prophecy?' ECMI Working Paper No. 58 (2012), გვ. 4-5. www.edoc.vifapop.de/opus/volltexte/2012/3857/, ნანახია 7.22.2015.
6. იქვე, გვ. 4-6.
7. იქვე, გვ. 5-6.
8. იქვე, გვ. 4.
9. იქვე, გვ. 11-12.
10. R. Gould, 'Secularism and Belief in Georgia's Pankisi Gorge'. Journal of Islamic Studies, Vol. 22, No. 3 (2011), www.jis.oxfordjournals.org/content/early/2011/09/13/jis.etr061.short, ნანახია 7.22.2015.
11. G. Sanikidze & E. W. Walker, 'Islam and Islamic Practices in Georgia'. Berkeley Program in Eurasian and East European Studies Working Paper, (2004), გვ. 12-20.
12. იქვე, გვ. 22-23.
13. R. Baramidze, 'Islamic State and Georgia's Muslim community'. Heinrich Boll Stiftung- South Caucasus (2015). www.ge.boell.org/en/2015/06/17/islamic-state-and-georgias-muslim-community/, ნანახია 7.22.2015.
14. იქვე.
15. Q. Wiktorowicz, 'Anatomy of the Salafi movement'. Studies in Conflict & Terrorism, Vol 29, No. 3, (2006), გვ. 218-219.
16. იქვე, გვ. 220.

17. იქვე, გვ.207-208.
18. იქვე, გვ. 225-228.
19. „ვაჰაბიზმს“ უწოდებენ ისლამის ადრეულ კონსერვატიულ მოძრაობას, რომელსაც მე-18 საუკუნეში არაბმა თეოლოგმა მუჰამედ იბნ აბდ-ალ-ვაჰაბმა დაულო სათავე. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სალაფიზმს ბევრი რამ აქვს ალ-ვაჰაბის იდეებიდან ნასესხები, „ვაჰაბიზმი“ ახლა უფრო ზუსტად საუდის არაბეთის სამეფოს რელიგიას ასახავს. სალაფიზმის გავლენის მონინალმდეგეები, განსაკუთრებით მუსლიმი უმცირესობების მქონე ქვეყნებში, ამ ტერმინით იმის აღნიშვნას ცდილობენ, რომ სალაფიზმის გავრცელება უცხოური გავლენის შედეგია.
20. იქვე, გვ. 208-209.
21. Baramidze, 'Islamic State and Georgia's Muslim community'.
22. იქვე.
23. ძნელია სირიაში/ერაყში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ზუსტი რაოდენობის დასახელება. რეპორტაჟები ძირითადად ზეპირ ინფორმაციას ეყრდნობა. ჩვეულებრივ, შეუძლებელია დაადგინო, ინდივიდი იბრძოდა თუ არა იქ, სანამ მისი სიკვდილი არ გახდება ცნობილი. 50-100 ქართველი მებრძოლი, რომელსაც ყველა უსაფრთხოების ანალიტიკოსი ასახელებს, კონსერვატიული გათვლათ, მაგრამ საქართველოს მუსლიმი მოქალაქეები და ქართველი პოლიტიკოსები ხშირად აზვიადებენ ან, პირიქით, ამცირებენ უცხოელი მებრძოლების სტატისტიკას. E. Janashia, 'Islamic State Reaches Out to Georgia'. Central Asia-Caucasus Analyst, (2015) www.cacianalyst.org/publications/field-reports/item/13185-islamic-state-reaches-out-to-georgia.html, ნანახია 7.22.2015.
24. „ყარაჯალიდან ორი ქალი, სვარაუდოდ, სირიაში საბრძოლველად წავიდა“. კახეთის საინფორმაციო ცენტრი; 18 მაისი 2015. www.ick.ge/rubrics/society/21774-i.html, ნანახია 7.22.2015
25. Rukhadze, 'More of Georgia's Muslims Try to Join Islamic State'.
26. K. Leggiero, 'Countering ISIS Recruitment in Western Nations'. Journal of Political Risk, Vol. 3 No. 1 (2015). www.jpolrisk.com/countering-western-recruitment-of-isis-fighters/, ნანახია 7.22.2015.
27. P. Rimple, 'Georgia: Tbilisi Tries to Prevent 'Jihad Travel.' EurasiaNet. 9 ივნისი, 2015. www.eurasianet.org/node/73786, ნანახია 7.22.2015.
28. J. Paraszczuk, 'Does Georgia Have The Will, Or A Way, To Stop Pankisi Residents From Joining IS?' Radio Free Europe/Radio Liberty. 17 აპრილი, 2015. www.rferl.org/content/islamic-state-georgia-pankisi-foreign-fighters/26963248.html, ნანახია 7.22.2015.
29. Krikorian, 'Countering Radicalisation in Georgia'.
30. იქვე.
31. Prasad, 'Georgia's Muslim Community: a Self-Fulfilling Prophecy?', გვ. 7.

32. Cecire, 'How Extreme are the Extremists? Pankisi Gorge as a Case Study'.
33. Paraszczuk, Umar Is Not Even A Real Chechen, Anyway" -- The Politics Of "Shishani" In IS And Syria".
34. J. Paraszczuk, 'We Kists Haven't Executed Anyone, Says Syria Veteran From Pankisi'. Radio Free Europe/Radio Liberty. 29 აპრილი, 2015. www.rferl.org/content/georgia-pankisi-syria-veteran-kist-interview/26985743.html, ნანახია 7.22.2015
35. T. Jvania, & G. Kuptadze 'Keeping Islamic State out of Georgia'. Institute for War and Peace Reporting. 22 ივნისი, 2015. www.iwpr.net/global-voices/keeping-islamic-state-out-georgia, ნანახია 7.22.2015
36. იქვე.
37. იქვე..
38. T. Liles. 'Islam and Religious Transformation in Adjara', ECMI Working Paper No. 57 (2012). გვ. 7-10.
39. იქვე, გვ.12-15.
40. იქვე, გვ. 18-20. 'In Kobuleti, locals protest against opening medrese'. *Kavkazky Uzel*. 17 სექტემბერი, 2014. www.eng.kavkaz-uzel.ru/articles/29373/, ნანახია 7.22.2015; B. Kmuzov, 'Rights defenders state pressure on staff of Muslim boarding house in Kobuleti'. *Kavkazky Uzel*. 12 ივლისი, 2015. www.eng.kavkaz-uzel.ru/articles/32328/, ნანახია 7.22.2015.
41. Rukhadze, 'More of Georgia's Muslims Try to Join Islamic State'.
42. Prasad, 'Georgia's Muslim Community: a Self-Fulfilling Prophecy?', გვ. 7-11
43. იქვე, გვ.10-11.
44. იქვე, გვ. 18-19.
45. მაგალითად, საქართველოს მუსლიმთა ახალ ადმინისტრაციას სამი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მართავს ქვემო ქართლიდან. ადგილობრივი მუსლიმური ინსტიტუტები, როგორებიცაა აჰლ ალ-ბაითი საქართველოს დამოუკიდებლობიდან მოყოლებული არსებობს. გარდა ამისა, როდესაც საქართველოს აზერბაიჯანელი მუსლიმები საზღვარგარეთ მიდიან ისლამური განათლების მისაღებად და შემდეგ აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში დასაბრუნებლად, ისინი, ჩვეულებრივ, კვიეტისტურ შიიტურ მედრესებში სწავლობენ აზერბაიჯანსა და ირანში. იქვე, გვ. 19-22.